

ქ.თბილისი

2018 წლის 22 მარტი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2018 წლის 22 მარტს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა, კომისიის წევრის ირაკლი ჩიქავას მიერ, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის გამო, კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ირაკლი ჩიქავა.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 7 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად. ამის გამო, არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: ვახტანგ სამხარაძე, ლაშა თავართქილაძე, აკაკი კერესელიძე, ლევან ჩიკვაძე, სულხან სულხანიშვილი, ედუარდ ნაჭყებია და ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის სხდომის თავმჯდომარე ირაკლი ჩიქავა.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის განცხადება, მატჩის მეთვალყურის გ. ჯალაღონიას ოქმი და ოფიციალური ვიდეომასალა, ამა წლის 18 მარტს, I ლიგის მატჩზე, ბოლნისის „ყოჩები“-სა და თბ „დინამო“-ს შორის, მომხდარი ფაქტების შესახებ.

#### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :


1. ბოლნისის „ყოჩები“-ს მორაგბე ალექსანდრე ნიჟარაძე (№ 26) - კონფლიქტის პროვოცირება.
2. თბ „დინამო“-ს მორაგბე გოგა მინდიაშვილი (№ 9) - კონფლიქტის პროვოცირება.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.7 პუნქტით და ერთხმად მიიღო შემდეგი

#### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. ბოლნისის „ყოჩები“-ს მორაგბე ალექსანდრე ნიჟარაძე დისკვალიფიცირებული იქნას 2 (ორი) სათამაშო კვირით.
2. თბ „დინამო“-ს მორაგბე გოგა მინდიაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით.

სრკ სადისციპლინო კომისიის სხდომის თავმჯდომარე



/ირაკლი ჩიქავა/